ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: ლენინური პრემიის ლაურეატთა ჯგუფი მარცხნიდან მარჯვნივ: ნ. გ. გომელაური, ნ. პ. ანდრიუხინი, ს. ა. შარაძენიძე, დ. პ. შალიგინი, პ. პ. წერეთელი, პ. ს. შრუშცკი და ი. ს. ჟორდანია.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის „400“ მილსაგლინავი აგრეგატის მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის ლენინური პრემიები მიენიჭათ: საამქროს უფროს ოსტატს ნ. პ. ანდრიუხინს, საამქროს უფროსის მოადგილეს გ. მ. გევორქიანს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარეს, ქარხნის ყოფილ დირექტორს ნ. გ. გომელაურს, საამქროს უფროსის თანაშემწეს კ. ს. გრუშეცკის, საამქროს უფროსის მოადგილეს ი. ს. ჟორდანიას, ქარხნის ყოფილ მთავარ ინჟინერს ს. ი. მალიშევს, საამქროს უფროსს პ. პ. წერეთელს, საამქროს უფროსს დ. პ. შალიგინს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ქარხნის ყოფილ დირექტორს ს. ა. შარაძენიძეს.

საჭდესის ფოტოჭრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგზის შობილი—ასე უწოდებენ რუსთავს საქართველოში. რუსთავის პირველი დაბადების თარიღი შორეულ საუკუნეებს განეკუთვნება. აქ ცხოვრობდნენ მამაცი მეომრები, ხელმარჯვე ოსტატები, შრომისმოყვარე მიწათმოქმედნი. ბევრმა ქარიშხალმა გადაუარა რუსთავს. უცხოელ დამპყრობთა მიერ გაპარტახებული, დანგრეული ქალაქი მრავალი საუკუნით გაქრა.

ქალაქის დაბადების მეორე თარიღი გახდა 1944 წლის მიწურული, როდესაც აქ პირველად მოვიდნენ მშენებლები. მათ თვალწინ გადაიშალა გადახრუკული, უკაცრიელი ველი. დღეს რუსთავი ახალი სოციალისტური ქალაქია, მეტალურგების, ქიმიკოსების, მეცნიერების, მშენებლების ქალაქი.

სურათზე: რუსთავი დღეს.

უბნის უფროსი პ. კოსტრომინი (მარჯვნივ) და ელექტრიკოსი ნ. შანდალა.

ლაბორატორიის უფროსი გ. ყოჩიაშვილი.

ახალი ტექნიკის, საწარმოო პროცესების ტექნოლოგიისა და ავტომატიზაციის დანერგვის საქმეში დიდ მუშაობას ეწევა ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საამქრო, რომელიც სპეციალურად შეიქმნა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში.

ქარხნის წვრილსორტუღმა საამქრომ მუშაობა დაიწყო 1954 წლის 30 ოქტომბერს, სამაუთუღე დგანმა—1955 წლის 31 დეკემბერს. 1955 წლის 24 დეკემბერს საექსპლოატაციოდ გადაეცა ქარხნის საგრინავ საამქროთა შორის ყველაზე ახალგაზრდა—ფურცელსაგრინავი საამქრო.

მკაცრავი ზ. მენთესაშვილი



მზა პროდუქცია საცივებელ კონვეიერზე.

მოთუთიებული მავთული ვაზისათვის.

საჭესის ფოტოჭრილობა

მილნამზადთა საამქროში წარმოება დიდად მექანიზებული და ავტომატიზებულია. მილის ნამზადის წარმოება ყოველთვის იყო ერთ-ერთი უაღრესად რთული და პასუხსაგები პრობლემა მეტალურგიაში. ეს იმით აიხსნება, რომ სამილე ღითონის მექანიკურ თვისებებს, აგრეთვე მის სიწმინდეს (როგორც ზედაპირისა, ისე მთელი კვეთისა) ყოველთვის ძალზე დიდ მოთხოვნას უყენებდნენ, რადგან მილების გაგლინვის პროცესში ამ ღითონზე დიდ ზემოქმედებას ახდენს ხრახნული გლინვა.

მილების გლინვა „400“ დგანზე.

მზა პროდუქციის დაგვირთვა.

მილსაგლინავი საამქროს მოწინავეები (მარცხნიდან მარჯვნივ): ბრიგადირები ი. ოვსიანიკოვი, კ. კალანდაძე, ზეინკალი ზ. ჩიწჩალაძე და ოსტატი ე. ზუმაკოვი.

საჭდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილნამზადთა სპეციალური მძლავრი საამქრო პირველი საბჭოთა კავშირში აშენდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანა ში. იგი საექსპლოატაციოდ გადაეცა 1951 წლის 17 აგვისტოს.

ნამზადის დაჭრა

ოპერატორი ნ. ევსუშენკო მართვის პულტთან.

რუსთავის ბრუმინგი, რომელიც დაამზადა ნოვოკრამატორსკის მანქანათმშენებელმა ქარხანამ, ომისშემდგომ დამზადებული პირველი საბჭოთა ბრუმინგია, რომელიც ამოქმედდა 1950 წლის 30 ოქტომბერს—პირველი მარჯენის ღუმელის ამოქმედებიდან ექვსი თვის შემდეგ. სახურებელი ჭები ბრუმინგის ძირითადი საწარმოო უბანია. ზოდების გახურება აქ მთლიანად ავტომატიზებულია.



ბრუმინგის საამქროს საერთო ხედი.

მზა პროდუქცია საცივებელ კონვეიერზე.

უფროსი ოპერატორი ი. მჭედლიშვილი და მანიპულატორი ო. ჩარიაშვილი.

მარჯენის საამქროში.

მეფოლადე ა. ფანცულაია.

ცვლა მოდის.

ქართული ბიბლიოთეკა

რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ პირველი ნაღნობი გამოუშვა 1950 წლის 27 აპრილს. ამჟამად მარჯენის საამქრო მუშაობს კაზმით, რომელიც შედგება საბრძმედე საამქროდან მინოდებული თხევადი თუჯისაგან, ქარხნის საბრუნი ჯართისა და გარედან შემოზიდული ჯართისაგან. ღუმელების გაწყობისათვის იყენებენ გამომწვარ და ნედღ დოლომიტს, აგრეთვე მაგნეზიტის ფხვნილს.

„20 წლის მანძილზე შავი მეტალურგია ისეთ დონეს მიაღწევს, რომ საშუალება გვექნება გამოვადნოთ წელიწადში დაახლოებით 250 მილიონი ტონა ფოლადი“. (სკკპ პროგრამიდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრძმედე საამქროს ხედი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გულია საბრძმედე წარმოება. საბრძმედე დნობის ძირითადი ნედლეულია დაშქესანის საბადოს მადანი, კოქსი, რომელსაც იღებენ კონცენტრატებისაგან—ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირისა და სადახლოს კირქვის გამდიდრების შედეგად. საბრძმედე ღუმელები აღჭურვილია საბჭოთა კავშირში დამზადებული უახლესი და დამხმარე მოწყობილობით. პირველი ღუმელი აინთო 1954 წლის 5 ივლისს.

მებრძმედეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები, რომლებსაც ა. ძამაშვილი (მესამე მარცხნიდან) ხელმძღვანელობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქვანახშირის საწყობი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოპერატორი ვ. დანილენკო.

კოქსქიმიური საამქროს საერთო ხედი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ყველა საამქრო აღჭურვილია უახლესი მოწყობილობით—ახალი მეტალურგიული ტექნიკის ნიმუშებით. მაღალი ტექნიკური სრულყოფილობით გამოირჩევა ქარხნის კოქსქიმიური ნარმოება. აქ ინერგება ახალი მანქანები და მექანიზმები, უმჯობესდება ტექნოლოგიური პროცესები.

ზესტაფონიდან რუსთავამდე—აი საქართველოს მეტალურგიის განვითარების გზა, რომლის ყველაზე დიდი კერაა ამჟამად რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. ქარხანასთან ერთად შეიქმნა აგრეთვე ახალი სოციალისტური ქალაქი.

ერთ სულ მოსახლეზე ღიტონის გამოდნობის მხრივ საქართველო ახლა წინ უსწრებს ისეთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიცაა იაპონია და ინდოეთი.

სურათზე: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხედი.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა სამართლიანად ამაყობს აქ აღზრდილი კვალიფიციური მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კადრებით, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ უფროსი მსხმელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ნანიტაშვილი, ცვლის უფროსი გ. გრიგოლაშვილი, მსხმელი ს. ვერულაშვილი, გრიგალებმა, რომლებსაც ი. კოვზირიძე, კ. მდივანი, ა. სხირტლაძე და კ. ცქიფურიშვილი ხელმძღვანელობენ, ქარხანაში პირველებმა მოიპოვეს კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება.

ცვლის უფროსი გ. გრიგოლაშვილი საუბრის დროს.

მსხმელი ს. ვერულაშვილი.



უფროსი მსხმელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ნანიტაშვილი.

საწარმოო სწავლების ოსტატი უ. ამანაშვილი მეცადინეობის დროს.

ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის მონაფეები მეცადინეობაზე მიდიან.

1943 წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასთან გაიხსნა მევალურგთა სახელოსნო სასწავლებელი. კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, აგრეთვე ახალგაზრდა მუშების სწავლებისათვის საწარმოში შექმნილია მონინავე გამოცდილების სკოლები, მიზნობრივი დანიშნულების კურსები, მოწყობილია ინდივიდუალური სწავლება. საშუალო სასწავლებელთა ბევრი მონაფე ქარხანაში საწარმოო სწავლებას გადის.

ქალაქის ერთ-ერთი კუთხე.

ზესტაფონის კულტურის სასახლე.

ოდესღაც ზესტაფონი მიყრუებული ქალაქი იყო. ფეროშენაღნობთა ქარხნის მშენებლობის წლებში ზესტაფონმა სავსებით იცვალა სახე. ახლა ზესტაფონი მეტალურგთა ქალაქია. იგი გაუწყვეტლივ იზრდება, სულ უფრო კეთილმოწყობილი და ლამაზი ხდება. ზესტაფონში აშენდა ახალი საცხოვრებელი უბნები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები.

ფურცელი 10

ახალი სამსხმელო აგრეგატი.

ფოლადის ჩამოსხმა

ამჟამად ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. ყველა სამუშაოში ჭარბობს კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიკა.

მორიგე ელექტრიკოსი გ. მიქელაძე მათემატიკურ საანგარიშო მანქანასთან, რომელიც ავტომატურად აღნუსხავს ღუმელის სიმძლავრეს.

საჭესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა დროს ზესხაფონელი მეჯაღურგები ფეროშენადნობთა წარმოების ათვისებასა და ორგანიზაციაში დახმარებისათვის მიემგზავრებოდნენ საბჭოთა კავშირის ქარხნებსა და მეგობრულ სოციალისტურ ქვეყნებში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რუმინეთი, ბულგარეთი და სხვ.).

სურათზე: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეჯაღურგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკური განყოფილების ყოფილი უფროსი შ. ფხაკაძე (მარცხნივ), რომელიც იყო ბულგარეთში და ქარხნის დირექტორი გ. შაკირიშვილი, რომელმაც იმოგზაურა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანგანუმის მექანიზებული დაჭვირთვა.

ინგლისში გასაგზავნი მზა პროდუქცია.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქცია ეგზავნება შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებელი, საავტომობილო, ტრაქტორმშენებელი, ჩარხმშენებელი და მრეწველობის სხვა დარგების 153 საწარმოსა და ღიმონბაზას.

მეჯალუაგიული ღაბორატორიის მოწინავე მუშები კ. კოჭზირიძე (მარჯვნივ) და ა. მესხი.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი პროგრესული ღაბორატორიის უფროსი ინჟინერი ღამარა დარასელია და ამავე ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი გურამ ღომთათიძე ამოწმებენ დაბრიკეტებული მანგანუმის ხარისხს.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა შეიმუშავა და ზესტაფონის ქარხანასთან ერთად გამოსცადა მანგანუმის მადნის დანაჭროვნების მეთოდიკა ეგრეთ წოდებულ „მონოკაზმად“ საკაზმე მასალების კომპლექსში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი საღნობი საამქროს სამონტაჟო უბანი.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და ახალი სახეობის პროდუქციისათვისების დარგში მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოები ხორციელდებოდა რესპუბლიკის მეცნიერებთან თანამეგობრობით. აქ, პირველად საბჭოთა კავშირში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეჯვალურგიის ინსტიტუტთან ერთად, მოეწყო ღნობა დახურულ ღუმელებში.

ახალი საღნობი საამქროს დახურული ღუმელების მონინავე მემონტაჟეები (მარცხნიდან მარჯვნივ): ზ. შავლიაშვილი, ი. ფერაძე, ვ. ჩუმაკი, ვ. გუბაევი, გ. კამინი და ს. ზუბკო.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინელი სპეციალისტი ს. ლუდინსკი (ცენტრში) ზესხაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშებს აცნობს ელექტროღუმელის დამზადების ტექნოლოგიასა და ექსპლოატაციას

№ 4 საამქროს ცვლის უფროსი ს. ლეკვინაშვილი, რომელიც ამასწინათ იყო უკრაინაში ქალაქ ალმაზნაიას ფეროშენადნობთა ქარხანაში, საამქროს მუშებს უზიარებს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

ზესხაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტი დაამყარა ჩვენი ქვეყნის მონათესავე საწარმოებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან. კოლექტივი უპართოდ უზიარებს მუშაობის გამოცდილებას ჩელიაბინსკის, კუზნეცკის, ახტიუბინსკისა და ღიპეცკის ფეროშენადნობთა ქარხნებს, ხოლო ზაპოროჟიეს ქარხანასთან შეჯიბრება ფრაღიციული გახდა.

სახელმწიფო პრემიით აღინიშნა ელექტროლიზური მანგანუმის ტექნოლოგიური წარმოების შემუშავება და დანერგვა. ზესტაფონის ქარხანა ამჟამად საბჭოთა კავშირში ელექტროლიზური მანგანუმის ერთადერთი მწარმოებელია.

მონინავე მუშები გ. გაჩეჩილაძე (მარცხნივ) და ჯ. კახიაშვილი ამოწმებენ ფეშპერაჟურის რეჟიმს აბაზანებში.

ელექტროლიზური მანგანუმის საამქროს საერთო ხედი.

ელექტროლიზური საამქროს მეპაპარაჟე პ. კეკელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესჯაუონის შეროშენაღნობთა პარჯიული ორგანიზაცია დიდ ორგანიზაჯორულ და პოლიჯიკურ მუშაობას ახორციელებს საწარმოს კოლექჯივის დასარაზმავად გეგმების წარმაჯებით შესრულებისათვის.

სურათზე: მორიგი პოლიჯიკური საუბარი № 1 საღნობ საამქროში.

„თანამედროვე მრეწველობის საფუძვლის—ლითონისა და სათბობის ნარმოების შემდგომი სწრაფი გადიდება კვლავაც დარჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად“. (სკკპ პროგრამიდან).

ცვლა სამუშაოდ მიდის.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ერთ-ერთი სამაქრო საერთო ხედი.

საქართველოში შავი მეტალურგიის ფართო განვითარების დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშენებლობა. ეს ქარხანა ჭიათურის მანგანუმის საბადოს ბაზაზე მუშაობს. ქარხნის მშენებლობა 1930 წელს დაიწყო. პირველი ნადნობი მიღებულ იქნა 1933 წლის 30 ოქტომბერს. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშები ახლა მთელ თავიანთ ძალებს ახმარენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ნინასწარმეტყველებათა შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეტალურგიულ საწარმოთა კოლექტივები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩვენმა ქვეყანამ მიიღოს რაც შეიძლება მეტი ფეროშენადნობები, ფოლადი, თუჯი, ნაგლინი, ხარისხოვანი რკინა და სხვა პროდუქცია. ეს ფოტოგამოფენა ეძღვნება ქართველ მეტალურგთა ცხოვრებას, მათს ბრძოლას სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ფურცელი 1

საქდესის ფოტოქრონიკა